სკოლის დასახელება	სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ფიქრია ჯანგავაძე
ნაწყვეტი წიგნიდან	რევაზ ინანიშვილი - „თინიკო“
სწავლების საფეხური/კლასი	საბაზო
მისაღწევი შედეგები	**მოსწავლე შეძლებს:** ➢ მხატვრული ტექსტის გააზრება-გაანალიზებასა და მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას **(ქართ. IX. 6.)** კერძოდ, შეაფასებს მთავარი პერსონაჟის ქმედებას განსხვავებული პოზიციიდან, დაუკავშირებს წაკითხულ ტექსტში გადმოცემულ პრობლემას სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს; ➢ სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემას; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამებას. **(ქართ. IX. 9.)** კერძოდ, შესწავლილი ტექსტის კონტექსტის (დრო, გარემო) შეცვლით დაწერს ახალ თხზულებას იმავე თემაზე, პრობლემაზე.
წინასწარი ცოდნა	➢ შესწავლილი აქვთ მსგავსი თემატიკის ნაწარმოები შტეფან ცვაიგის ,,უცნობი ქალის წერილი“; ➢ შეუძლია დღიურის წერა; ➢ შეუძლია ტექსტის კონტექსტის შეცვლით დაწეროს ახალი ნაწარმოები.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)	ტექსტის წაკითხვის შემდეგ(შინაარსის გაცნობა), ბუნებრივია, ვმუშაობთ მის გაგება-გააზრებაზე. ჩემ მიერ დაგეგმილი სამი აქტივობა, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ამას.
აქტივობა 1 **პერსონაჟის დღიური**	აქტივობის აღწერა: მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ არიან მთავარი პერსონაჟი(თინიკო) და დაწერენ დღიურებს: ნაწილი დაწერს 15 წლის წინანდელს, ნაწილი - სიკვდილის წინ. აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა გაისიგრძეგანონ როგორ წარიმართა მთავარი პერსონაჟის ცხოვრება,რას საქმიანობდა იგი, რამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

აქტივობა 2 **დისკუსია**	აქტივობის აღწერა: დღიურების პრეზენტაციის შემდეგ, გამოიკვეთება თვითმკვლელობის მოტივები, ამიტომ აუცილებელია დისკუსია თემაზე: სუიციდი გამოსავალია?	აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა კრიტიკულად განსაჯონ მთავარი პერსონაჟის ქცევის მოტივები, მოძებნონ კრიტიკული სიტუაციაციაში პრობლემის გადაჭრის გზები.
აქტივობა 3 **მწერლის სახელოსნო**	აქტივობის აღწერა: მოსწავლეები ცვლიან დროს და გარემოს, რომელშიაც მთავარ პერსონაჟს მოუხდა ცხოვრება და წერენ ახალ ნაწარმოებს.	აქტივობის მიზანი: დააფიქროს მოსწავლეები იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ნაწარმოების განხილვა დროისა და გარემოს კონტექსტში.